შერწყმისა და შთანთქმის დაფინანსების სტრატეგიების გავლენა ფინანსურ მაჩვენებლებზე-საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე.

მაგისტრი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფინანსები

სამეცნიერო ხელმძღვანელი:ნათია სურმანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგდანელა ზაქროშვილი

07.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია შერწყმისა და შთანთქმის (M&A) დაფინანსების სტრატეგიების გავლენა შემძენი ფინანსური ინსტიტუტების ფინანსურ მაჩვენებლებზე განვითარებადი ბაზრის პირობებში. კვლევის აქტუალობას განაპირობებს საბანკო ინდუსტრიაში კონკურენციის გამკაცრება, სადაც დაფინანსების სტრუქტურა განსაზღვრავს ბანკების გრძელვადიან რისკპროფილსა და სტაბილურობას. საკვლევ ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საბანკო სექტორი, კერძოდ – 2016 წელს სს „თიბისი ბანკის“ მიერ სს „ბანკი რესპუბლიკის“ 93.64%-იანი წილის შეძენის მსხვილი სტრატეგიული გარიგება. კვლევის მიზანია შეისწავლოს 2016 წელს სს „თიბისი ბანკის“ მიერ სს „ბანკი რესპუბლიკის“ შეძენის ფარგლებში გამოყენებული შერეული დაფინანსების მოდელის გავლენა გაერთიანებული ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე.ჰიპოთეზების გადასამოწმებლად გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდოლოგია (რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომები). რაოდენობრივი ანალიზი ეფუძნება სებ-ის სტატისტიკასა და ბანკების აუდიტირებულ ანგარიშგებებს 2015–2018 წლებში, სადაც შეფასებულია რენტაბელობა (ROA, ROE), წმინდა საპროცენტო მარჟა, ოპერაციული ეფექტიანობა, ლიკვიდურობა და კაპიტალის ადეკვატურობა. თვისებრივი ნაწილი მოიცავს სექტორის ექსპერტებისა და ფინანსური მენეჯერების სიღრმისეულ გამოკითხვას მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ინტერპრეტაციისთვის.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შერეული დაფინანსების სტრატეგიას განსხვავებული ეფექტი აქვს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. გარიგების შემდგომ ოპერაციული ეფექტიანობის კოეფიციენტი მკვეთრად გაუმჯობესდა (50,56%-დან 37,14%-მდე შემცირდა), რაც მიუთითებს მასშტაბის ეკონომიისა და სინერგიების წარმატებულ რეალიზებაზე. კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი თანდათანობით შემცირდა (17,57%-დან 13,67%-მდე), რაც შეესაბამება პირველ ჰიპოთეზას, რომ საფონდო კომპონენტი უარყოფითად მოქმედებს კაპიტალის სტრუქტურაზე. თუმცა, მაჩვენებელი მუდმივად აჭარბებდა მარეგულირებლის მინიმალურ ზღვარს.

დასკვნის სახით, M&A გარიგებების წარმატება და გრძელვადიანი მდგრადობა დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების სწორ სტრუქტურულ ინტეგრაციასა და შემდგომ ეფექტიან მართვაზე. მიგნებები სასარგებლო იქნება საბანკო სექტორის მენეჯერებისა და მარეგულირებელი ორგანოებისთვის.

ძირითადი ტერმინები: შერწყმა და შთანთქმა (M&A), დაფინანსების სტრატეგია, შერეული დაფინანსება, საბანკო სექტორი, ფინანსური მაჩვენებლები, სინერგია, კაპიტალის ადეკვატურობა.

Abstract

This thesis examines the impact of merger and acquisition (M&A) financing strategies on the financial performance of acquiring financial institutions in an emerging market context. The study is highly relevant given the intensifying competition in the banking industry, where the choice of transaction financing structure fundamentally determines long-term risk profiles and stability. The primary subject of the research is the Georgian banking sector, specifically focusing on the 2016 large-scale strategic transaction where JSC TBC Bank acquired a 93.64% stake in JSC Bank Republic. The objective is to investigate the differentiated impact of the utilized mixed financing structure (cash and equity emission) on the combined bank's financial ratios.

To verify the hypotheses, a mixed-methods research methodology combining quantitative and qualitative approaches was employed. The quantitative analysis relies on National Bank of Georgia statistics and audited financial statements from 2015–2018, evaluating the dynamics of key indicators: profitability (ROA, ROE), net interest margin, operational efficiency, liquidity, and capital adequacy. The qualitative component includes in-depth interviews with industry experts and financial managers to interpret causal relationships.

The findings indicate that the mixed financing strategy yields distinct effects. Post-merger, the cost-to-income ratio sharply improved (decreasing from 50.56% to 37.14%), demonstrating the successful realization of economies of scale and synergies. The capital adequacy ratio progressively declined from 17.57% to 13.67%, confirming the first hypothesis that the equity component negatively impacts capital structure. However, the ratio consistently remained above the regulator's minimum threshold.

In conclusion, M&A success and long-term sustainability depend on the sound structural integration of assets and liabilities and effective post-merger management. The findings offer valuable insights for bank executives and regulatory authorities.

Keywords: Mergers and Acquisitions (M&A), Financing Strategy, Mixed Financing, Banking Sector, Financial Performance, Synergy, Capital Adequacy.